B23010133

გადახდის ნომერი: **EN2352008**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B23010133**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 26/01/2023 14:30:04
განცხადების ნომერი: 2352008
განცხადების მიღების დრო: 26/01/2023 14:29:15

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: ონის მუნიციპალიტეტი // წარმომადგენელი: ირმა მაისურაძე/34001000942/), რომლითაც მოთხოვნილია ახალი სუბიექტის რეგისტრაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური**
დასახელება ლათინურად: **Greening Service of Oni Municipality**

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სადამფუძვნებლო შეთანხმება ბრძანება განკარგულება მინდობილობა

მომსახურება: 1 დღის ვადაში 0 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **2 405 405**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

2352008
გადახდის ნომერი: **EN2352008**

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს

განმცხადებელი: **ონის მუნიციპალიტეტი**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი:
წარმომადგენელი: **ირმა მაისურაძე**
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი: **34001000942**
საცხოვრებელი / იურიდიული მისამართი: **ონი ზ.ქაფიანიძის შეს. N 6**

განცხადება

მოვითხოვ, რომ მოახდინოთ ახალი სუბიექტის რეგისტრაცია

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური**
დასახელება ლათინურად: **Greening Service of Oni Municipality**
დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია:

არ მსურს დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაცია

თანდართული დოკუმენტაცია:

- წესდება
- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სადამფუძვნებლო შეთანხმება ბრძანება განკარგულება მინდობილობა

ბანკში ანგარიშის გახსნა:

არ მსურს ბანკში საწარმოს ანგარიშის გახსნა

სუბიექტის საკონტაქტო ინფორმაცია
იურიდიული მისამართი: **88.18.23.038 რაიონი ონი , სოფელი შეუბანი**
ტელეფონი: **591010436**
ელ-ფოსტა: **gamwvanebissamsaxuri@gmail.com**

განაცხადზე ხელმოწერით, გამოვხატავ თანხმობას, რომ სააგენტომ, სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი, უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართისა და ტელეფონის ნომრის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს შემოსავლების სამსახურს, მის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დამუშვების მიზნით, მ.შ. eservices.rs.ge გვერდის გასააქტიურებლად.

მომსახურება : 1 დღის ვადაში 0 ლარი

განმცხადებელი პირი: ----------/ ონის მუნიციპალიტეტი /

წარმომადგენელი პირი: ----------/ ირმა მაისურაძე /

განცხადების წარდგენის თარიღი: 26/01/2023 14:29:15

დანართი N2

ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური“

წ ე ს დ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელწოდება და იურიდიული მისამართი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური“ არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, ონის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაა: - „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური“(შემდგომში სამსახური).
3. სამსახურის იურიდიული მისამართია: ონის მუნიციპალიტეტი სოფელი შეუბანი
4. სამსახურის ელ. ფოსტაა: gamwvanebissamsaxuri@gmai.com

მუხლი 2. სამსახურის სტატუსი

1. სამსახური არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.
2. სამსახურის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება ლიკვიდაციის დასრულების რეგისტრაციის მომენტიდან.
3. სამსახური შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
4. დაკისრებული ფუნქციების და დასახული მიზნების განსახორციელებლად სამსახურს აქვს სამეწარმეო საქმიანობის უფლება.
5. სამსახურს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი, შტამბი, ბლანკი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
6. სამსახური კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში და არბიტრაჟში, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.
7. კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილ ფარგლებში სამსახური ანგარიშვალდებული და პასუხიმგებელია ონის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე, რომელიც ახორციელებს დამფუძნებლის უფლებამოსილებებს.
8. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ტერიტორია.

თავი II. საქმიანობის საგანი

მუხლი 3. სამსახურის ძირითადი მიზანი და ფუნქციები

სამსახურის ძირითადი მიზანი და ფუნქციაა:

საქარ
სპეციალ
თბილ
მ.ბ.ალიოფ

ა) მის დაქვემდებარებაში მყოფი გამწვანების ობიექტების პერსპექტიული პროგრამების შემუშავება;

ბ) ონის მუნიციპალიტეტის გამწვანებული ტერიტორიების და მასზე განთავსებული ნივთების (მწვანე ნარგავები, დეკორატიული მცენარეები, ქანდაკებები, შადრევნები და სხვა) მოვლა პატრონობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო საკუთრებას ან სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი სამართლებრივი ფორმით არ არის დროებით სარგებლობაში სხვა სუბიექტისთვის გადაცემული;

გ) ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვა, მოვლა და აღდგენა განხორციელდეს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24მარტის N12 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად;

დ) მწვანე საფარის, ბაღების, სკვერების და ყვავილნარების გამწვანება-განაშენიანება და დაზიანებული ტერიტორიების აღდგენა;

ე) სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანებისა და მიზნების შესრულება, ონის მუნიციპალიტეტის მერის სხვა დავალებების შესრულება.

მუხლი 4. სამსახურის უფლებები და ვალდებულებები

1. სამსახურს დაკისრებული ვალდებულებებისა და ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე, განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს მცენარეული საქონლის (მწვანე ნარგავები, ყვავილები, ნერგი, თესლი) შეძენა, გამწვანების სამუშაოების პროექტირება, შესრულება და სხვა. ამ პუნქტით განსაზღვრული მიზნით სამსახური უფლებამოსილია განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა, მონაწილეობა მიიღოს სხვა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში;

გ) ჩამოაყალიბოს სამსახურის განვითარების პროგრამა. კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვროს გაწეული და გასაწევი მომსახურების ღირებულება;

დ) დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;

ე) შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული ოდენობის შესაბამისად;

ვ) განსაზღვროს დაწესებულების ხარჯთაღრიცხვა ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

2.სამსახური ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

თავი III. სამსახურის მართვა და კომპეტენცია

მუხლი 5. სამსახურის მართვა

1. სამსახურის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესდების შესაბამისად.
2. სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ერთპიროვნულად ეკისრება დაწესებულების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
3. დირექტორს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 6. სამსახურის დირექტორის უფლებამოსილება

1. დირექტორი:
ა) საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესდებით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებლად ხელმძღვანელობს დაწესებულების საქმიანობას, მოქმედებს დაწესებულების სახელით და სპეციალური მინდობილობის გარეშე წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
ბ) იურიდიული პირს საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც საჭიროებს დამფუძნებელთან შეთანხმებას;
გ) პასუხისმგებელია დაწესებულების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, დაწესებულების ქონების, მათ შორის, ფულადი სახსრების მიზნობრივ ხარჯვასა და გამოყენებაზე;
დ) პასუხისმგებელია ამ წესდებისა და დაწესებულების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტების შესრულებაზე;
ე) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა დაწესებულების ყველა თანამშრომლისათვის, ხელს აწერს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებულ ფინანსურ და სხვა დოკუმენტაციას;
ვ) უფლებამოსილია დაამყაროს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ განსაზღვრული საშტატო განრიგის შესაბამისად;
ზ) უფლებამოსილია შრომით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირების თანამდებობრივი სარგოები განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად;
თ) საქათველოს შრომის კოდექსის შესაბამისად, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დაწესებულების თანამშრომლებს;

ონის
მერის
№985
ასლია

ი) ბრძანების საფუძველზე ანაწილებს ფუნქციებს დაწესებულების თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს, კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სამსახურეობრივ ზედამხედველობას დაწესებულების თანამშრომლების საქმიანობაზე, მართავს თათბირებს, ისმენს პერიოდულ ანგარიშებს თანამშრომლების მიერ შესრულებულ სამუშაოებთან დაკავშირებით;

კ) უფლებამოსილია დადოს შრომითი ხელშეკრულებები (შეთანხმებები) ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ლ) ონის მუნიციპალიტეტის მერთან ათანხმებს დაწესებულების ბიუჯეტს;

მ) ამტკიცებს დაწესებულების თანამშრომელთა შვებულებაში გასვლის განრიგს;

ნ) ონის მუნიციპალიტეტის მერს არანაკლებ წელიწადში ერთხელ წარუდგენს დაწესებულების ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ო) ანგარიშვალდებულია ონის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე;

პ) ახორციელებს კანონმდებლობით, ამ წესდებით და მათ შესაბამისად მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. სამსახურის დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის (დროებითი შრომისუუნარობის გამო) ან სხვა საფუძვლის არსებობისას დირექტორისათვის სამსახურეობრივი უფლებამოსილების დროებით შეჩერების დროს სამსახურის თანამშრომლებისაგან დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

თავი IV. სტრუქტურა

მუხლი 7. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურის სტრუქტურა და სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა, თანამდებობები, სარგო განისაზღვრება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხის შესაბამისად;
2. სამსახურის თანამშრომელთა უფლებამოსილებები სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით;
3. სამსახურის თანამშრომლებს უფლება აქვთ ისარგებლონ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნორმით, დროულად მიიღონ შრომითი ანაზღაურება, ჰქონდეთ შესაბამისი სამუშაო პირობები.

თავი V. ქონება და ფინანსები

მუხლი 8. სამსახურის ქონება

დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სამსახურს აქვს საჭირო განცალკევებული ქონება, რომელიც გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. ფინანსები

სამსახურის ფინანსები შეადგენს ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივ სახსრებს.

თავი VI. საქმიანობის კონტროლი

მუხლი 10. სამსახურის საქმიანობის კონტროლი

1. სამსახურის საქმიანობის საერთო კონტროლს ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი, ეკონომიკის სამსახურის მეშვეობით;
2. სამსახურის კონტროლი მოიცავს დაწესებულების მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

თავიVII. დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სამსახურის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს ონის მუნიციპალიტეტის მერი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. სამსახურის ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. დებულების დამტკიცება და ცვლილების შეტანა

1. სამსახურის დებულებას ონის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით ამტკიცებს ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2. დებულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი

ირმა მაისურაძე ს/ნ 34001000942

ი. [signature]

ეროვნული ბიბლიოთეკა
201 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №9655
თარიღი 26 იანვარი 2022
გვ.რაოდენობა 05 ხელმოწერა

დანართი N1

სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლ[illegible] ველების შევსება სავალდებ[illegible]ლოა

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

•საფირმო სახელწოდება ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

• საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე Greening Service of Oni Municipality
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

• იურიდიული მისამართი ონის მუნიციპალიტეტი სოფელი შეუბანი
საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

საზოგადოების ელექტრონული ფოსტის მისამართი gamwvanebissamsaxuri@gmail.com
(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

საზოგადოების ტელეფონის ნომერი + 995 5 9 1 0 1 0 4 3 6
(არსებობის შემთხვევაში)

•დამფუძნებლები
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

ონის მუნიციპალიტეტის მერის სახით: (მისამართი: ქ. ონი დ. აღმაშენებელის ქ. N40)

•ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

ბესარიონ კობერიძე, პირადი ნომერი 01001010851; მისამართი: ქ. ონი ა. ონელის ქ. N6 ბ 13

•ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები
(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ სამეწარმეო საზ[illegible] ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამ[illegible] უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

[illegible] ეროვნული ბანკ[illegible] ერ[illegible]
შტამპი [illegible]
თარიღი "___" _____
[illegible] ..... ხელმ[illegible]

.....

• სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი
(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

.....

სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

gamwvanebissamsaxuri@gmail.com
(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

+995 5 9 1 0 1 0 4 3 6

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო **დირექტორი**

(არსებობის შემთხვევაში)
(მმართველი ორგანოს დასახელება)

(მმართველი ორგანოს დასახელება)

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1. .....

2. .....

3. .....

დანართი: წესდება[1]

1. ირმა მაისურაძე (პ/ნ 34001000942) .... ხელმოწერა
დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

2. ..... 01001010851 .... ხელმოწერა
დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

3. .... ხელმოწერა
დამფუძნებლის/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

თარიღი: 26.01.2023წ.

ეროვნ. სამინისტრო
ეროვნული სააგენტო
№65
_____ 201 წ.
არა .....

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შპალი №965
თარიღი 26 იანვარი 2023წ.
გვ.რაოდენობა 9 ხელმოწერა

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემები უნდა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებით

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ78. 78230264

თარიღი:26/01/2023

ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორად ბესარიონ კობერიძე (პ/ნ 01001010851) დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე'' ქვეპუნქტისა და 106^1 -ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. დაინიშნოს ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორად ბესარიონ კობერიძე (პ/ნ 01001010851), დაბადების თარიღი: 24.07.1962 წელი; მისამართი: ქ. ონი ა. ონელის ქ. N6 ბ13;

2. ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორს ბესარიონ კობერიძის (პ/ნ 01001010851) ყოველთვიურ სარგოდ განისაზღვროს 1000 (ათასი) ლარი;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ONI MUNICIPALITY CITY HALL GEORGIA 237978275

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:№78. 78230265

თარიღი:26/01/2023

,,ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორად ბესარიონ კობერიძე (პ/ნ 01001010851) დანიშვნის შესახებ'' ონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 იანვრის N№78. 78230264 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე. ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1.შევიდეს ცვლილება ,,ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორად ბესარიონ კობერიძე (პ/ნ 01001010851) დანიშვნის შესახებ'' ონის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 იანვრის N№78. 78230264 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, დაინიშნოს ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დირექტორად 2023 წლის 26 იანვრიდან ბესარიონ კობერიძე (პ/ნ 01001010851), დაბადების თარიღი: 24.07.1962 წელი; მისამართი: ქ. ონი ა. ონელის ქ. N6 ბ13'';

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მკ

გამოყენებულია კვალიფიცური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ONI MUNICIPALITY CITY HALL 237978275 საქართველო • GEORGIA ONI MUNICIPALITETIS MERIA

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N23

2022 წლის 27 ოქტომბერი
ქ. ონი

ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] -ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ონის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის" დაფუძნების შესახებ.

2. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქ. N13).

საკრებულოს თავმჯდომარე — ბაჩანა მარკოიშვილი

ონის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:ბ78. 78230263

თარიღი:26/01/2023

ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დაფუძნების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ'' და ,,ე.ე'' ქვეპუნქტების, ამავე კოდექსის 106^1 -ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, ,, ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის'' დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ'' ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N23 განკარგულების და საქართველოს კანონის ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი''-ს II თავის თანახმად **ვბრძანებ:**

1.დაფუძნდეს ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური''.

2. დამტკიცდეს:

ა)ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური''-ს სადამფუძნებლო შეთანხმება, ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;

ბ)ონის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური''-ს წესდება დანართი N2-ის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ამბროლაური კოსტავას ქ. N13) მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კანონის ,,საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"-ს VIII თავის 22- ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად.

სერგო ხიდეშელი

ონის მუნიციპალიტეტის მერია-მ

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ONI MUNICIPALITY CITY HALL GEORGIA 237978275

GEO

FIRST NAME
ბესარიონ
BESARION

LAST NAME
კობერიძე
KOBERIDZE

GEO

SEX
მ / M

PERSONAL No
01001010851

DATE OF BIRTH
24.07.1962

DATE OF EXPIRY
23.04.2024

CARD No
13ID83258

SIGNATURE